## ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N106/1

(საქონლის შესყიდვა)

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი 13 აგვისტო, 2015 წელი

1 ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, შპს „ინფრასტრუქტურა-2008“, მისი დირექტორის გია სილოგავას სახით შემდეგში „შემსყიდველი“, და მეორეს მხრივ შპს „ელექტრონი“, მისი ფოთის მაღაზიის მენეჯერის დიმიტრი შუბითიძის სახით, შემდგომში„მიმწოდებელი“ ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1.1** ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის,, გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად ,,შემსყიდველი“ შეისყიდის, ხოლო ,,მიმწოდებელი'' განახორციელებს საგორებელი სათიბი მანქანის ღერძის (შემდეგში ,,საქონელი'') მოწოდებას.

### 2. ხელშეკრულების ბიექტის დასახელება, შესყიდვის კატეგორია

2.1 შესყიდვის კატეგორია **-42600000** (ჩარხები)
2.2 კლასიფიკატორის CPV კოდი 42676000 (ხელის ხელსაწყოების/იარაღების ნაწილები)
2.3 შესყიდვის ობიექტის კონკრეტული დასახელება: საგორებელი სათიბი მანქანის ღერძი

### 3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადებია შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად 1 (ერთი) დღის განმავლობაში.
3.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს შესაბამისი დოკუმენტაცია (სასაქონლო ზედნადები და მიღება-ჩაბარების აქტი).

### 4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

4.1შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ამ სფეროში არსებულ, საქართველოში მოქმედ სტანდარტებს, ხელშეკრულების პირობებს და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

## 5. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

5.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელისმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით.

## 6. შესყიდვის ობიექტის ღირებულება და ანგარიშსწორების ფორმა

6.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში.

6.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულება განისაზღვრება 150 (ას ორმოცდაათი) ლარით

6.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა).

6.4ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მოწოდებული საქონლის ჩაბარებიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) საბანკო დღის განმავლობაში.

## 7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

7.1 წინამდებარეხელშეკრულებისპირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ მცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთოღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 8. ფორს-მაჟორი

8.1მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

8.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 9. სხვაპირობები

9.1ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს

9.2წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მასშემდეგ,რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

9.3 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებული საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

10. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

,,შემსყიდველი''

შპს "ინფრასტრუქტურა 2008"

ქ. ფოთი,ვ. კრატასიუკის ქ.N82
ს/კ 215148695

დირექტორი გია სილოგავა

,,მიმწოდებელი''

შპს „ელექტრონი"

ქ.თბილისი,გარდაბნის გზატკეცილი N48
ს/კ 208218132
ს/ს „პროკრედიტ ბანკი"
ბ/კ MIBGGE22
ა/ნ GE22PC0133600100037372

დიმიტრი შუბითიძე

# მიღება-ჩაბარების

# აქტი

ქ. ფოთი 13 აგვისტო, 2015 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ შპს "ინფრასტრუქტურა 2008" მისი დირექტორის, გია სილოგავას სახით, შემდგომში „შემსყიდველი“ და მეორეს მხრივ შპს „ელექტრონი“, მისი ფოთის მაღაზიის მენეჯერის დიმიტრი შუბითიძის სახით, შემდეგში "მიმწოდებელი", ვადგენთ აქტს, რომლის მიხედვითაც „მიმწოდებელმა“ ჩააბარა, ხოლო "შემსყიდველმა" 2015 წლის 13 აგვისტოს №106/6 ხელშეკრულების შესაბამისად მიიღო საქონელი - 1 ერთეული საგორებელი სათიბი მანქანის ღერძი, რომლის ღირებულება შეადგენს : 150 (ას ორმოცდაათი ლარი) ლარს.

„შემსყიდველი“ „მიმწოდებელი“

შპს „ინფრასტრუქტურა 2008“

ქ. ფოთი,ვ. კრატასიუკის ქ.82

ს/კ 215148695

დირექტორი გ. სილოგავა

შპს „ელექტრონი“

ქ. თბილისი, გარდაბნის გზატკეცილი №48

ს/კ 208218132

დ. შუბითიძე